საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414

KA000049717356119

**№ 15-ი** **29 / მარტი / 2019 წ.**

# განკარგულება

## ჯამრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

მოწონებულ იქნეს „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2019 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტი, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

კარლო ჯამბურია